თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დიდუბის რაიონის მაჟორიტარ
გივი ჩხარტიშვილის

ანგარიში

2023 წელი

მიმართვა

ჩემთვის დიდი პატივია, თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრის და დიდუბის რაიონის მაჟორიტარის რანგში წავრდგე ანგარიშით ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. მივაწოდო დეტალური ინფორმაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ. რადგან, სწორედ მათ მიერ მონიჭებული მანდატი მაძლევს საშუალებას ვემსახურო ჩემს ქალაქს, ვემსახურო დიდუბის რაიონში მცხოვრები თითოეული ადამიანის ინტერესებს. და, ასევე, მათთან შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია, საუბარი, დისკუსია, მაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველამ ერთად, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი გახდეს უფრო თანამედროვე, მწვანე, სიცოხლით და სიყვრაულით სავსე მშვიდობის ქალაქი.

სარჩევი

1. მიმართვა ---------- გვ. 2

2. საკრებულოს სხდომები ---------- გვ.4

3. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია ---------- გვ. 5

5. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ---------- გვ. 6-7

6 ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ---------- გვ. 8

7. მოქალაქეებთან შეხვედრა ---------- გვ. 9-10

8. დიდუბის რაიონში განხორციელებული პროექტები ---------- გვ. 11-14

9. აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია ---------- გვ. 15-16

10. სპორტული და კულტურული ღონისძიებები ---------- გვ. 17-19

საქმიანობა თბილისის საკრებულოში

უკვე მეორე წელია წარმოვადგენ დიდუბის რაიონს თბილისის მეშვიდე მოწვევის საკრებულოში. ვარ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე.

როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი აქტიურად ვმონაწილეობ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა თუ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს 14 სხდომა და ვმონაწილეობდი თითოეულის მუშაობაში. ამ სხდომებზე განვიხილეთ 105 დადგენილება და 615 განკარგულება. მივიღეთ ბევრი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დედაქალაქისთვის და თბილისელებისთვის:

- მხარი დავუჭირეთ „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტს, რომლის ფარგლებშიც 12 მეტროსადგურის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება;
- დავამტკიცეთ ცვლილებები აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის წესში, რამაც მერიას პროგრამის ფარგლებში უკვე 1850 ბენეფიციარის დაფინანსების შესაძლებლობა მისცა;
- მხარი დავუჭირეთ ცვლილებებს, რომლის თანახმად, ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე თბილისელებს ოპერაციას თბილისის მერია 120 000 ლარის ფარგლებში სრულად უფინანსებს;
- თბილისის ბიუჯეტს დაემატა ახალი ქვეპროგრამა, რომელიც მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონეთა ოპერაციის დაფინანსებას გულისხმობს;
- საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში 191 მილიონ 492 ათასი ლარით გაიზარდა თბილისის ბიუჯეტი და ეს თანხები სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებზე, ისევ თბილისელების საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდა;

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე, რომლის ძირითადი ამოცანაც და ფუნქციაც თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ გამართა თვრამეტი სხდომა. განვიხილეთ 258 საკითხი. მათ შორის:

- შევათანხმეთ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებები;
- მხარი დავუჭირეთ „ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილებებს;
- დავამტკიცეთ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მცხოვრებთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი;
- დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით, შევათანხმეთ მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის გარეშე სამშენებლო განვითარების დასაშვებობის საკითხი;
- გავეცით დადებითი რეკომენდაცია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე;

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

თბილისის მასშტაბით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია იყო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში. მონაწილეობა მივიღე კომისიის 14 სხდომაში სადაც საერთო ჯამში 26 საკითხი განვიხილეთ. ჩემთვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო, გავძღოლოდი კომისიის საქმიანობას თამჯდომარის რანგში მას შემდეგ, რაც გიორგი ჩაკვეტაძე გახდა საკანონმდებლო ორგანოს წევრი და შეუდგა სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას.

- კომისიის გასვლით სხდომაზე გავეცანით სამგორის რაიონში, ვარკეთილში, მდებარე მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს;

- მხარი დავუჭირეთ დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს, რომლის მიხედვით გაიზარდა სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით რიგი პროგრამების დაფინანსება;

- თანხები მოხმარდება სპორტულ ღონისძიებებს, წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებას. დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების, მათ შორი ,,მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ ფუნქციონირებას. ასევე, „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“-ს სტრუქტურული ერთეულის გლდანის აუზის რეაბილიტაციას.

- კომისიის ინიციატივით გავმართეთ შეხვედრა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საკრებულოს წარმომადგენლებთან და განვიხილეთ სასკოლო ლიგის 2023-2028 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმის დეტალები;

- მხარი დავუჭირეთ ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ სპორტული ბაზის სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად საქართველოს რაგბის კავშირისთვის საკუთრებაში გადაცემას სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების პირობით. ტერიტორია კერძო მესაკუთრის მფლობელობიდან დაბრუნდა მუნიციპალიტეტის მფლობელობაში;

- გასვლითი სხდომის ფარგლებში გავეცანით ლადო ასათიანის ქუჩაზე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს. ცენტრში ფიტნეს დარბაზი, კრივის რინგი, საკალათბურთო მოედანი, საშხაპეები და გასახდელები განთავსდება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო

საანგარიშო პერიოდში, როგორც თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. რომელიც საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა.

ფრაქციის სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები და შეჯერებული პოზიცია წარედგინება საკრებულოს სხდომას. საანგარიშო ფრაქციის 18 სხდომიდან დავესწარი 15-ს და განვიხილეთ 26 საკითხი.

მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, თბილისის მუნიციპალიტეტსა და EBRD-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება თბილისის მეტროს მოდერნიზაციაზე, აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტი, ისტორიული ძეგლების სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაცია და ა.შ.

შეხვედრები მოქალაქეებთან და მაჟორიტარის ბიურო

შეხვედრა მოქალაქეებთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, საჭიროების მიხედვით დახმარება, შესაბამისი კომისიის თუ სამსახურის ჩართვა საკითხების გადაწყვეტაში უკვე ტრადიციაა.

ყოველი ოთხშაბათი საკრებულოს დიდუბის მაჟორიტარის ბიუროში მოქალაქეთა მიღების დღეა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს, მათ შორის თბილისის საკრებულოში.

სამაჟორიტარო ოლქში მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციის გარდა ჩემი ბიუროს თანამშრომლები ახორციელებენ თითოეული სატელეფონო ზარისა თუ სოციალურ ქსელში მოსული დან გამოქვეყნებული შეტყობინების მონიტორინგს და კომპეტენციის ფარგლებში მათ ვუწევთ შესაბამის შუამდგომლობას.

მაჟორიტარის და ბიუროს კარი ყოველთვის ღიაა მათთვის, ვისაც დახმარება ან კონსულტაცია სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს, ერთჯერადი დახმარება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საჭიროებები, მწვანე ან მოსასვენებელი სივრცის მოწყობა, სახლის გამაგრება, სპორტული მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია და ა.შ.

ასევე, ბიუროს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ვმართავთ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან. ვეცნობით საკითხებს, რომელიც მოქალაქეებს აწუხებთ.

საანგარიშო პერიოდში მოვუსმინეთ, დავეხმარეთ ან შესაბამის სამსახურებთან ვუშუამდგომლეთ 300-მდე მოქალაქეს. მათ შორისაა:

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- მედიკამენტებისთვის საჭირო სახსრებით უზრუნველყოფა;
- თერაპიული, ოპერაციული თუ სტაციონარში მკურნალობის ხელშეწყობა;
- უსახლკარო სტატუსის მინიჭება;
- ბინის ქირის გადასახადის დაფინანსება;
- სარიტუალო მომსახურება;
- სკვერის რეაბილიტაცია და სარეკრეაციო ზონის მოწყობა;
- სახლის სახურავის შეცვლა;
- შენობის გამაგრება და ლიფტის რეაბილიტაცია;

დიდუბის რაიონში განხორციელებული პროექტები

დიდუბის რაიონი წელსაც ერთ-ერთი ლიდერია ძველი ავტოფარეხების დემონტაჟისა და ასეთ ტერიტორიებზე მწვანე სივრცეების მოწყობის თვალსაზრისით. მაგალითად, წერეთლის გამზირის მიმდებარედ, მირცხულავას ქუჩის N1-ში, მაცხოვრებლების ინიციატივით, და დიდუბის გამგეობის ხელშეწყობით ხუთი ავტოფარეხისა და ჯიხურის დემონტაჟი მოხდა. ეს ტერიტორია გამწვანდება და ასფალტის საფარი დაიგება.

ამას გარდა, დიღმის მასივის მეხუთე კვარტალში 23ა და 23ბ კორპუსების მიმდებარედ უკვე აიღეს 49 ავტოფარეხი. 24ა და 24ბ კორპუსების მიმდებარედ შარშან აიღეს 25 ავტოფარეხი, წელს ერთი და იგეგმება კიდევ ექვსის აღება.

ახმეტელის ქუჩის 8 ნომერში განხორციელდა 11 ავტოფარეხის დემონტაჟი და უკვე მიმდინარეობს სკვერის მოწყობა.

წერეთლის 103-ში აიღეს 11 და იგეგმება კიდევ ერთი ავტოფარეხის დემონტაჟი.

იგეგმება ავტოფარეხების აღება წერეთლის გამზირის 91 ნომრის მიმდებარედ.

ყველა ამ მისამართზე დიდუბის გამგეობა მოსასვენებელი და მწვანე სივრცის მოწყობას, ასევე ეზოებისა და გზის საფარის მოწესრიგებას გეგმავს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო აგლაძის ქუჩის მაცხოვრებლებისთვის და არა მხოლოდ მათთვის სამუშაოები, რომელიც „თბილსერვის ჯგუფმა“ ჩაატარა. დასუფთავდა აგლაძის ქუჩა N10, 14, 16ა-ში მდებარე რეკრეაციულ სივრცე. გაიწმინდეს ტერიტორია, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამშენებლო ნარჩენისგან. 25 ადამიანი და სპეცტექნიკა რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდა შეუსვენებლად.

მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები მოქალაქეებთან ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის თემაზე. რადგან პროგრამის წარმატებით განხორციელება ისევე, როგორც მოქალაქეების აქტიური ჩართულობა ამ პროცესში არის უმნიშვნელვანესი.



ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა შეხვედრა გვქონდა ფოთის ქუჩა N1-ში და მის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან. კორპუსი ავარიულია და შეხვედრაზე მოქალაქეებთან, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო კომისიის თავმჯდომარესთან, რევაზ სოხაძესთან, ასევე, დიდუბის გამგებელ ლადო ძნელაძესთან ერთად განვიხილეთ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის პირობები.

დიღმის მასივში, განხორციელდა მაიაკოვსკის ძეგლის მიმდებარედ არსებული სკვერისა და ასევე მალე დასრულდება კუნძულ ტექსელის სახელობის სკვერის და ხეივნის რეაბილიტაცია. ამ ძალიან მნიშვნელოვან პროექტზე 8 მილიონ ლარამდე იხარჯება.

სკვერებში, რომელთა საერთო ფართობი 3.5 ჰექტარია, მოეწყო საბავშვო და სპორტული მოედნები, საფეხმავლო და ველოსიპედის ბილიკები, ცხოველთა სასეირნო სივრცე და დასასვენებელი პავილიონები. ასევე, მოეწყო სამაგიდო სათამაშო სივრცე და დამონტაჟდა გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები.

დიღომს მალე ბაგა-ბაღის კიდევ ერთი ახალი შენობა შეემატება და პატარები, რომლებიც მიმდებარედ გადაანაწილეს ძველ მისამართს დაუბრუნდებიან.
მეცხრამეტე საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა-რემონტი წლის ბოლოს დასრულება და ახალი წლიდან 250 აღსაზრდელის მიღებას შეძლებს.
პროექტს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო 4 180 000 ლარით აფინანსებს.

2023 წელს დიდუბის რაიონის ბიუჯეტი შედაგენდა 16 მილიონ 262 400 ლარს, თუმცა ის კიდევ გაიზარდა თითქმის 3 მილიონით და შეაგინა 19 მილიონ 276 602 ლარი. საანგარიშო პერიოდში დიდუბის რაიონში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, მათ შორის ჩემი ჩართულობით განხორციელებული პროექტების და სამუშაოების სტატისტიკა ასეთია:

- 48 მისამართზე, საერთო ჯამში 36 652 კვ.მ ფართობზე ასფალტის საფარის მოწესრიგებაზე დაიხარჯა 2 მილიონ 477 ათას 700 ლარი;
- 10 მისამართზე ახალი სკვერის მოწყობაზე დაიხარჯა 653 519.86 ლარი;
- 15 მისამართზე სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა 209 190.85 ლარი;
- 20 მისამართზე მოეწყო ახალი მოაჯირები, ხუთზე განხორციელდა რეაბილიტაცია და საერთო ჯამში სამუშაოებზე დაიხარჯა 108 556.77 ლარი.
- 13 მისამართზე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია დაფინანსდა 403 698 ლარი;
- შშმ პირთათვის ეტლით გადასაადგილებელი პანდუსი/ლიფტი მოეწყო 3 მისამართზე და ამისთვის 151 420.43 ლარი;
- 9 მისამართზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები დაფინანსდა 322 377.81 ლარი. ლარით;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში:

- 22 შენობის სახურავი შეიცვალა, სამის შეცვლის სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს და წილის ბოლომდე კიდევ 8 შენობის სახურავი შეიცვლება;
- 9 მისამართზე დასრულდა წყალსაწრეტი მილების შეცვლა და წლის ბოლომდე შეიცვლება კიდევ 2 მისამართზე;
- 20 მისამართზე შეიცვალა წყალკანალიზაციის სისტემა, სამუშაოები მიმდინარეობს 3 მისამართზე და წლის ბოლომდე კიდევ 4 მისამართზე შეიცვლება;
- ლიფტი მოწესრიგდა 36 მისამართზე, ამჟამად მიმდინარეობს შვიდის რეაბილიტაცია და წლის ბოლომდე მოწესრიგდება კიდევ 20 ლიფტი;
- 14 მისამართზე მოწესრიგდა სადარბაზოს კარი, ორ მისამართზე თავად სადარბაზო და 2 მისამართზე სადარბაზოს კიბეები;
- გამაგრების პროექტი განხორციელდა 2 მისამართზე;
  დასრულებული, მიმდინარე და წლის ბოლომდე დაგეგმილი სამუშაოებისთვის საერთო ჯამში გამოყოფილია 4 მილიონ 407 ათას 544 ლარი.

აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია

დედაქალაქისთვის და დიდუბის რაიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი დაიწყო წელს. ეს გახლავთ აკაკი წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაცია. 30 მილიონიანი პროექტის ფარგლებში მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება.

სრულად იცვლება ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების, წყალარინების ქსელები, რეაბილიტაცია უტარდება და ეწყობა ახალი სანიაღვრე სისტემა. პროექტის ფარგლებში მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება საჰაერო სადენები, ასევე მოეწყობა მიწისქვეშა ნარჩენშემკრები ურნები.

რაც შეეხება მიწისზედა სამუშაოებს, მოეწყობა ტროტუარები, გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა გარე განათების ახალი ქსელი, დამონტაჟდება ლედ განათებები;

ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით, მოეწყობა კუნძულები და ზებრა გადასასვლელები, გზის სავალ ნაწილზე გამოიყოფა ავტობუსის ზოლი. ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის.

პროექტის ფარგლებში პირვანდელი სახე შეუნარჩუნდება შოთა შალიკაშვილის სახელობის ხიდს. რომელსაც სრული, კაპიტალური რეაბილიტაცია არსებობის ორმოცდაათწლიან ისტორიაში

პირველად ჩაუტარდა და მასზე უკვე აღდგენილია სამანქანე მოძრაობა.

თუმცა სამუშაოები გრძელდება, მიმდინარეობს თაღების მოპირკეთება, ტროტუარების კეთილმოწყობა, გარე განათების ახალი ბოძების და ხიდზე დეკორატიული მინათებების დამონტაჟება.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მტკვრის თავზე არსებულ თაღს. შოთა შალიკაშვილის სახელობის ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოებზე საერთო ჯამში 4 მლიონ 5 ათასი ლარი დაიხარჯება.

სპორტული, კულტურული და სოციალური ღონისძიებები

ცხოვრების ჯანსაღი წესის, სპორტის პოპულარიზაცია და კულტურული ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. დიდუბის რაიონში ამ ტიპის ღონისძიებებზე უკვე დაიხარჯა 316 ათას 570.15 ლარი. მათ შორის ფრენბურთის, მინი ფეხბურთის, ქუჩის კალათბურთის, ჩოგბურთის პოპულარიზაციისთვის.

პროგრამების ფარგლებში, სპორტი ყველა ეზოში და სპორტი ჯანმრთელობისთვის ეწყობა სპორტული მოედნები ან რეაბილიტაცია უტარდება უკვე არსებულ ინფრასტრუქტურას.

იმართება სპორტული ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას. ტურნირების ნაწილი უკვე ტრადიციაა და წელს მაგალითად, კვლავ წარმატებით წარიმართა მინი ფეხბურთის ტურნირ - დიდუბე 2023. მასში 10 გუნდი მონაწილეობდა. თითოეული ტრადიციულად დიდუბის რაიონში მცხოვრები და რეგისტრირებული ახალგაზრდებისგან იყო დაკომპლექტებული.

პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს და საუკეთესო ფეხბურთელებს დიდუბის რაიონის გამგეობისგან თასები, სიგელები, მედლები და სპორტული მაღაზიის ვაუჩერები გადავეცით.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩემთვის ძალიან დასამახსოვრებელი დღე, როდესაც დიდუბის რაიონის გამგებელ ვლადიმერ ძნელაძესთან ერთად მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკში ვუმასპინძლეთ დიდუბესა და დიღმის მასივში მცხოვრებ ბავშვებს. მათ შორის სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების პატარებს. მუშთაიდის პარკის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დღეს ბავშვებს გასართობი სივრცეები და ატრაქციონები მთელი დღის განმავლობაში უფასოდ ემსახურებოდნენ. პატარებს ასევე საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზის ისტორიას და მუშთაიდის პარკში დღემდე შემორჩენილ რამდენიმე საინტერესო ძეგლსა და რელიკვიას.

და, ბუნებრივია ვიზიტი დიდუბის რაიონში მცხოვრები ჩვენი ვეტერანების ოჯახებში, რომელთაც ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელ, გენერალ კობა კობალაძესთან ერთად სასაჩუქრე ვაუჩერები და ნობათი გადავეცით. ამ მცირედით გვინდოდა მათთვის კიდევ ერთხელ გვეთქვა, რომ გვახსოვს მათი უდიდესი წვლილი სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

სააღდგომო ნობათი და სასაჩუქრე ვაუჩერები გადავეცით სოციალურად დაუცველ, ასევე, მრავალშვილიან ოჯახებს, დამსახურებულ პედაგოგებს და ომის ვეტერანებს...
ამდენი ოჯახის და ადამიანის გახარებას ვერ შევძლებდით, რომ არა დიდუბის რაიონის გამგეობის და კერძო ბიზნესის თანადგომა.

ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება ახალგაზრდების წახალისება.
დიდუბის რაიონის წელს 15 სკოლის ოქროს და ვერცხლის 204 მედალოსანი ჰყავს. მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადავეცით მათ, ასევე სკოლების დირექტორებსა და კლასის დამრიგებლებს. წავახალისეთ ახალგაზრდებიც და მადლობა გადავუხადეთ პედაგოგებსაც, რომლებსაც საჩუქრად წიგნები და მადლობის სიგელები გადავეცით.

2023 წელს, 9 თვის განმავლობაში დიდუბის რაიონის გამგეობამ, მათ შორის ჩემი სამაჟორიტარო ბიუროს შუამდგომლობით 386 ათას 874 ლარით დააფინანსა დიდუბის რაიონის მაცხოვრებელთა თხოვნა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსების შესახებ. 192 ათას 960 ლარით - თხოვნა და შუამდგომლობა ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსების შესახებ. 54 ათას 648 ლარით - სტაციონარული მომსახურების შესახებ, 34 ათას 028 ლარი გამოიყო დავალიანების დასაფარად, ასევე დიდუბის რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებს მათი მიმართვის საფუძველზე გაეწიათ 538 ათას 330 ლარის ერთჯერადი თუ სხვა ტიპის ფინანსური დახმარება.

საკრებულოს წევრი

გივი ჩხარტიშვილი